

სასარგებლო ინფორმაცია

შეშის კუბატურის გაანგარიშება.

-შეშის მოცულობის განსასაზღვრად არსებობს სპეციალური კოეფიციენტები და საზომი ერთეულები. მანქანის ძარის მოცულობა და შეშის მოცულობა სხვადასხვა რამეა.

საწყობმეტრი - მჭიდროდ დანყობილი შეშის ნაჭრები, რომელთა სიგრძე, სიგანე და სიმაღლე შეადგენს 1 მეტრს.

ერთი საწყობმეტრი ტოლია 0,7 კუბური მეტრის.

ადგილზე მიტანილი შეშა ჩაყრილია და არა მჭიდროდ დანყობილი სატვირთო მანქანაში.



ამ შემთხვევაში, შეშის კუბატურის დასადგენად მანქანის სატვირთო მოცულობას ამრავლებენ კოეფიციენტზე - 0.82 და იღებენ საწყობმეტრის რაოდენობას.

მაგალითად, თუ მანქანის ძარის სიგრძეა 3,5მ, სიგანე - 2მ და ბორტის სიმაღლე - 1,5მ, მისი მოცულობა ტოლია $3,5 \times 2 \times 1,5 = 10,5$ მ3.

მიღებული ციფრი მრავლდება 0.82 და მიიღება 8,61 საწყობმეტრი. შემდგომ მიღებულ ციფრს ვამრავლებთ 0,7 კოეფიციენტზე და ვღებულობთ 6 კუბურ მეტრ შეშას, თითქმის ორჯერ ნაკლებს, ვიდრე მანქანის ძარის მოცულობაა

ბროშურა მომზადებულია პროექტი " აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა" ფარგლებში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის, გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ის „დაცული ტერიტორიების დაცვის სააგენტოს“ ხელშეწყობით.



ბროშურა მომზადებულია კავშირი "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს" მიერ



დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
თბილისი, 0160, დ. გამრეკელის ქ. #19
ოფისი #611, VI სართული
ტელ.: +995 32 224 25 40, 224 25 41,
ფაქსი: +995 32 224 25 42
ელ. ფოსტა: eecgeo@eecgeo.org
ვებ. გვერდი: www.eecgeo.org

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

შეშის დაგროვება წესების მიხედვით

ზოგადი რეკომენდაციები

თუ თქვენ გსურთ შემის დამზადება წესების მიხედვით, მაშინ ეს ინფორმაცია თვენთვის არის განკუთვნილი.

როდის უნდა დავამზადოთ შეშა?

ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ შემის დამზადების საუკეთესო დრო - გვიანი შემოდგომა და ზამთარია. რატომ?



- ამ პერიოდში ფოთლოვან ხეებს ფოთლები გაცვენილი აქვთ, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მათ დახერხვას;

- ამ დროისთვის დასრულებულია ხეებში წვენის მოძრაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნოემბერ-დეკემბერში დამზადებული მერქანი უფრო მშრალი იქნება, ვიდრე სექტემბერში დამზადებული;

- სიცივეში, როდესაც ხე იყინება, ის ადვილად იჩეხება;

- ზამთარში დამზადებული შეშა შესანიშნავად გამოშრება ზაფხულის განმავლობაში და მზად იქნება შემდეგი სეზონისთვის გამოსაყენებლად.

რა თქმა უნდა, ზამთრის პერიოდში შემის დამზადების პროცესს თან ახლავს ისეთი სირთულეები, როგორცია სიცივე, ნაძქერი, და სხვა. მაგრამ დადებითი შედეგი ამას გადაწონის.

აწიხვანალოვანია !

დაველოდოთ შემის გამოშრობას. ეს დაახლოებით ერთ წელს გასტანს. არ ღირს ახლად დამზადებული შემის გამოყენება. ის ტენიანია, ცუდად იწვის და არ გამოსცემს საკმარის სითბოს. ასეთი შეშა უფრო გაგვანჯალებს, ვიდრე მოგვცემს სარგებელს.

შემის დამზადების პროცესი მოიცავს: ხეების ჭრას, გასხეპვას (მოჭრილი ხიდან ტოტების მოცილება), მორების დამზადებას, დანიშნულების ადგილამდე მიტანას, შემის დაპობასა და შენახვას. მიტანას, შემის დაპობასა და შენახვას.

ახლად მოჭრილ ხეში ტენიანობა აღწევს 50% და მისგან დამზადებული შეშა ცუდად იწვის. ამიტომ საჭიროა მისი გამოშრობა, რათა ტენიანობა დავიდეს 15-20%-მდე.

შემის სიმშრალის დადგენა მარტივია, ერთმანეთს დაარტყით ორი შემის ნაჭერი, თუ დარტყმისას გამოიცია მუღერი ხმა, ე.ი. ის ვარგისია გამოსაყენებლად. გარდა ამისა ნედლი შეშა თითქმის ორჯერ უფრო მძიმეა ვიდრე გამომშრალი.

მას შემდეგ რაც მორები დაიხერხება და შემის ნაჭრები დაიპობა ღუმელისთვის შესაფერის ზომებად, ხარისხიანი საწვავი მასალის მისაღებად საჭიროა შემის სწორად დაწყობა, რათა ის სწრაფად გამოშრეს და არ დალპეს



შემის შესანახად საჭიროა ადგილის სწორი შერჩევა შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით

- ◆ მის დასაწყობად უნდა შეირჩეს ამაღლებული ადგილი, სადაც არ დაგროვდება წყალი.
- ◆ განსაზღვრეთ მზის მდებარეობა დღის განმავლობაში. შეარჩიეთ ადგილი ისე, რომ მზის სხივები ხვდებოდნენ შემას ნახევარი დღე მაინც და ის მუდმივად მშრალ ადგილზე იმყოფებოდეს.
- ◆ შემის შესანახი ადგილი მარტივად ეწყობა შემდეგნაირად: მონიშნული ადგილის ბოლოებში მიწაში ერჭობა ოთხი ბოძი. მათ შორის კეთდება აგურის, ქვის ან ფიცრების იატაკი, რათა შეშა არ ეხებოდეს მიწას. მისი დაწყობა პირდაპირ მიწაზე არასასურველია, რადგან ის დაიწყებს ღვობას და არ გამოშრება.
- ◆ შემის ნაჭრების მჭიდროდ დაწყობა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ტენიანმა შეშამ შეიძლება დაანესტიანოს გამომშრალი.
- ◆ შეშა ეწყობა ფენებად ისე, რომ მათ შორის მოძრაობდეს ჰაერი. თითოეულ ფენაში შემის ნაჭრები ეწყობა ერთი მიმართულებით და წინა ფენის საწინააღმდეგოდ. ასე არ გროვდება ტენი და უზრუნველყოფილია ჰაერის მოძრაობა. ფენებს შორის არ უნდა იყოს უცხო საგნები.
- ◆ შესანახ ადგილს უნდა ჰქონდეს დახრილი გადახურვა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის გადაყვანას და არ გაატარებს ნალექს. გადახურვის გვერდები ყოველთვის ღია უნდა იყოს, რაც უზრუნველყოფს ჰაერის მოძრაობას.